

დამტკიცებულია
სსიპ – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს №8 დადგენილებით
"27 " 03" 2019 წ. ოქმი №4
სპიკერი, პროფესორი: ლ.ჩიბურდანიძე

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის და სტუდენტის ეთიკის კოდექსი (კოდიფიცირებული)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) ეთიკის კოდექსის მიზანია უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტთა ქცევის ნორმების განსაზღვრა.

მუხლი 2. ეთიკის კოდექსის სამართლებრივი საფუძვლები

უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსი შემუშავებულია საქართველოს კონსტიტუციის, „უმაღლესი განათლების შესახებ“, „პროფესიული განათლების შესახებ“, „თამბაქოს კონტროლის შესახებ“, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსების და უნივერსიტეტის წესდების საფუძველზე.

მუხლი 3. ეთიკის კოდექსის მოქმედების სფერო

1. ამ კოდექსის მოქმედება ვრცელდება უნივერსიტეტის პერსონალზე (აკადემიური, ადმინისტრაციული, დამხმარე (მათ შორის შტატგარეშე), მოწვეული და მასწავლებელთა პერსონალი) მათ შორის გამოსაცდელი ვადით დასაქმებულებსა და სტაჟიორებზე, სტუდენტებზე (პროფესიულ სტუდენტებზე, მსმენელებზე) და მისი დაცვა სავალდებულოა უნივერსიტეტში სწავლისა და მუშაობის მთელი პერიოდის მანძილზე.

2. ამ კოდექსის მიზნებისათვის სტუდენტად მიიჩნევა:

ა) პირი, რომელიც სწავლობს უნივერსიტეტში პროფესიულ, ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, დოქტორანტურის პროგრამის გასავლელად;

ბ) მსმენელი - რომელიც სწავლობს უნივერსიტეტში ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის გასავლელად.

მუხლი 4. უნივერსიტეტის სტუდენტის და პერსონალის ვალდებულებები

1. უნივერსიტეტის სტუდენტი და პერსონალი ვალდებული არიან დაიცვან უნივერსიტეტის პატივი და ღირსება, დაიცვან ეთიკის კოდექსით, შინაგანაწესისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებით და ხელშეკრულებით დადგენილი მოთხოვნები.
2. უნივერსიტეტის სტუდენტმა და პერსონალმა პატივი უნდა სცეს უნივერსიტეტის სხვა პერსონალს და სტუდენტებს მიუხედავად მათი რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის.
3. პერსონალს, სტუდენტებს, პერსონალსა და სტუდენტთა შორის პრობლემის წარმოშობის შემთხვევაში მათი გადაჭრა უნდა მოხდეს საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტის წესდების, შინაგანაწესისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების და ეთიკის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად.

მუხლი 5. ეთიკის ზოგადი წესი

1. უნივერსიტეტის პერსონალთა და სტუდენტთა შეუფერებელ და არაეთიკურ ქცევად ჩაითვლება:
 - ა) აკადემიური პროცესის მიმდინარეობისათვის ხელის შეშლა (ხმაური, მობილური ტელეფონით სარგებლობა, დერეფანში აურზაური და სხვა);
 - ბ) პერსონალის ლექციაზე დაგვიანება;
 - გ) სტუდენტის მიერ ლექციის (სემინარის, საჯარო შეხვედრის) სხდომის ჩაშლა ან სასწავლო ლექცია სემინარებზე უცხო პრის შეყვანა თანხმობის გარეშე;
 - დ) თამბაქოს მოხმარება საამისოდ ნებადართული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ;
 - ე) ალკოჰოლური ან ნარკოტიკული საშუალების მიღება უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ან აღნიშნული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ყოფნა (მცირე ზომით ალკოჰოლური საშუალების მიღება დასაშვებია უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაზე).
 - ვ) აზარტული თამაშები უნივერსიტეტის ტერიტორიაზე;
 - ზ) ინვენტარით სარგებლობის წესების დარღვევა (მერხზე და სხვა ინვენტარზე წარწერების გაკეთება; კომპიუტერების, ლაბორატორიული მოწყობილობების, სასწავლო ავეჯისა და ინვენტარის დაზიანება ან არამართლზომიერი გამოყენება, ნარგავების დაზიანება და სხვა);
 - თ) უნივერსიტეტის ტერიტორიის დანაგვიანება, შენობის დაზიანება, იერსახის დამახინჯება და სხვა;

- ი) უნივერსიტეტის კუთვნილი ან დროებით სარგებლობაში მყოფი მოძრავი ქონების დაზიანება და/ან არამართლზომიერი გამოყენება და სხვა;
- კ) ბილწი და შეურაცხმყოფელი ლექსიკის გამოყენება;
- ლ) არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება უნივერსიტეტის სახელის, პრესტიჟის, სიმბოლიკისა და საქმიანი რეპუტაციის მიმართ;
- მ) უხეში და არაეთიკური დამოკიდებულება, ჩაგვრა/აბუჩად აგდება, ძალადობა, მუქარა, ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება;
- ნ) სიძულვილის ენის გამოყენება, დისკრიმინაცია (მათ შორის სექსუალური შევიწროება), ძალადობისკენ მოწოდება;
- ო) პლაგიატი - ნაშრომში სხვისი აზრისა თუ ნაშრომის ციტირება ავტორის მითითების გარეშე;
- პ) შეფასების მიღების მცდელობა გამომცდელზე მუქარით, ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზემოქმედებით, მოტყუებით, თაღლითობითა თუ სხვა დაუშვებელი ხერხებითა და ქმედებით;

მუხლი 6 . დისციპლინური პასუხისმგებლობა

1. ამ კოდექსით დადგენილი ნორმების დარღვევისთვის დისციპლინური წარმოების საკითხი და პასუხისმგებლობის სახეები გათვალისწინებულია უნივერსიტეტის შინაგანაწესისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებით.

მუხლი 7. უნივერსიტეტის ვალდებულება

1. უნივერსიტეტი ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობის, კანონქვემდებარე აქტების, უნივერსიტეტის წესდების, ეთიკის კოდექსის, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესისა და უნივერსიტეტის სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად, დაიცვას სტუდენტის უფლებები.
2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში უნივერსიტეტი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

1. ეთიკის კოდექსს ამტკიცებს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო.

შეტანილია ცვლილება:

1. წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 12 მარტის N13 დადგენილებით (ოქმი N3);